

**ქართული სიტყვის მორფოლოგიური  
და სინტაქსური თვისებები<sup>1</sup>**

1. არსებობს ქართული მორფოლოგიისა და სინტაქსის პრობლემები, რომლებიც საქართველოში, პირველ ყოვლისა, ორთოგრაფიის თვალსაზრისით განიხილება. მას განეკუთვნება პრობლემა, თუ რამდენი წევრისგან შედგება შემდეგი ერთეული, რომელიც ეკუთვნის მრავალ მაგალითს, რომლებიც მიხეილ ჭაბაშვილმა (1988) ამ პრობლემასთან დაკავშირებით შეაგროვა:<sup>2</sup>

(1) [[[კუ-ს] ძვლ-ის] ჩარჩო]იან-ი სათვალე (ჭაბ. 1988:7)

ჯერ კიდევ აკაკი შანიძემ (1973:108) დაწერა ზოგიერთი რამ ქართულ სიტყვათა წარმოების შესახებ თავში „წარმოქმნა“, ანუ მორფოლოგიის ფარგლებში. ეს განლაგება, მართალია, სწორია, მაგრამ ის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე *მხოლოდ* მორფოლოგიურ პრობლემას ეხება. ბესარიონ ჯორბენაძემ (1984) კი მიუთითა, რომ მაგალითად, უ—ო აფიქსიანი სიტყვაწარმოება მარტივი სახელური ფუძის გვერდით შეიძლება შეიცავდეს სინტაგმებსაც. მურმან სუხიშვილი თავის სპეციალურ გამოკვლევაში (სუხიშვილი 1984:181) ლაპარაკობს მსაზღვრელ-საზღვრულიან „სინტაგმებზე“. მაგალითი ბევრია (დ)-(კ), და ძველ ქართულშიც გვხდება (ლ).

(2) (ა) უ-[შენ]-ო-დ

(ბ) უ-[ცოლ]-ო

(გ) უ-[ლოუკმა-პურ]-ო (შანიძე 1973:§176)

(დ) უ-[ლაამაზ-ქალ]-ო (ჯორბენაძე 1984:139)

(ე) იგი უ-[დიდ-გვარ]-ო-და-ც დიდიაო (ი. ჭავჭავაძე apud სუხიშვილი 1984:176-179)

(ვ) თავისი არსებობა კი ვერ წარმოედგინა უ-[ამ-ქალ]-ო-დ (ა. ყაზბეგი apud შანიძე 1973:§177, შენიშვნა)

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 2015 წლის 10 ნოემბერს საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის სხდომაზე. — დიდ მადლობას მოვასხენებ ავთანდილ არაბულს, ნინო დობორჯგინიძეს, ივანე ლეჟავას და რეზო კიკნაძეს, რომლებიც სხვადასხვა დროს მომეხმარნენ თავიანთი მსჯელობითა და ექსპერტიზით. ნინო დობორჯგინიძეს განსაკუთრებით ვმადლობ კომპეტენტური თარგმანის, კორექტურისა და დამატებითი მაგალითებისთვის.

<sup>2</sup> ორთოგრაფიული პრობლემა, რა თქმა უნდა, უფრო ფართოა. მაგალითად, ი. ნიკოლაიშვილი ჯერ კიდევ 1928 წელს წერს: *ნაკვალ სახელი* (დღევანდელი *ნაკვალსახელი*), *დრო ნაკლი* (დღევანდელი *დრონაკლი*) და ა.შ.

- (ზ) უ-[ჩემ-შვილ]-ო-დ (ქართული სამართლის ძეგლები apud სუხიშვილი 184:179)
- (თ) უ-[დედ-ის]-ალერს-ო (ჯორბენაძე 1984:139)
- (ი) უ-[ჩიტ-ის]-რძე]-ო, უ-[რკინ-ის]-ხიდ]-ო, უ-[პარხლ-ის]-სახარებ]-ო-დ (შანიძე 1973:§177)
- (კ) უ-[მ-ის]-ყმ-ის]-ო-დ (ვეფხისტყაოსანი 754,4 apud შანიძე 1973:§176; შდრ. უაძისოლ)
- (ლ) უ-[შენ-ი]-ტან-ის]-ო-დ (არჩილი apud სუხიშვილი 184: 179,7;)
- (მ) უ-[მუხრან-ის]-ბატონ]-ოთ (ქ. სამ. ძეგლ. apud სუხიშვილი 184:179)
- (ო) იგიცა მონაზონი უ-[ნუგეშინ-ის-ცემ]-ო-თა გლოთა შეპყრობილ იყო (იოვანე დამასკელის ცხოვრების ეფრემ მცირის თარგმანი XX apud კ. კეკელიძე, ეტიუდები VII, გვ. 167).

თავისი მითითების იმპლიკაციათა შესახებ ბ. ჯორბენაძე და მ. სუხიშვილი არაფერს ამბობენ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სინტაგმა სიტყვაწარმოების პროდუქტიული სახეობის ამოსავალი ერთეულია: სახელი მსაზღვრელითურთ (დ)-(ე)-ში, სახელი ნათესაობითიანი მსაზღვრელითურთ (თ)-(ი)-ში და ა.შ. ზემოთ ნახვასმული ნაწილები არ არის აფიქსიანი სახელური კომპოზიტები, ვინაიდან *ლამაზ-ქალ-*, *ამ-ქალ-*, *დედის-ალერს-* და ა.შ. არ არის სახელური კომპოზიტები, რადგან, *ლამაზ-ქალ-*, მაგალითად, არ შეიძლება ვაბრუნოთ: არ არსებობს ნათესაობითი *ლამაზქალის*. და ზედსართავის ტიპი *დიდვაჭარი*, *დიდ-ოსტატ-ი*, რამდენადაც მე ვიცი, არ არის პროდუქტიული; სიტყვები, როგორიცაა \*დიდმეცნიერი არ არსებობს. ამის გარდა სიტყვის მაწარმოებელი თავსართ-ბოლოსართი უ—ო ირგვლივ აკრავს მის ამოსავალ ერთეულს; ამიტომაც არავის მოსდის თავში აზრად, რომ *ულამაზქალო-ში* შესაძლოა *ლამაზ* იდგეს სიტყვის გარეთ და არ იყოს სიტყვის შემადგენელი ნაწილი. უ—ო აფიქსიანი სიტყვები ასევე აშკარად არ ენებენ, რომ ქართულში არსებობს შესიტყვებები, რომლებიც სიტყვაწარმოების ამოსავალი ერთეულებია, და რომ ბესარიონ ჯორბენაძის ტერმინი „სინტაგმა“ სწორია. ინგლისური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ქართული სიტყვაწარმოების ამოსავალი ფორმის ფრაზის თვისებები შეიძლება ჰქონდეს (Boeder-Schroeder 2000). ქვემოთ ინგლისური „ფრაზის“ და ქართული „შესიტყვების“ ნაცვლად ტერმინს „სინტაგმას“ გამოვიყენებ წინადადების ან სიტყვის სინტაქსური შემადგენლის მნიშვნელობით („სახელური სინტაგმა“ = „სახელური ფრაზა / შესიტყვება“, „ზმნური სინტაგმა“ = „ზმნური ფრაზა / შესიტყვება“ და ა.შ.).

ეს ჩართული სინტაგმები ფუძეებსა და ნათესაობითის ფორმებს შეიცავს. საგულისხმოა, რომ ფუძეები არ არის ირიბი ბრუნვის ფორმები. სიტყვაში *უამქალოდ ამ-* ფორმალურად, მართალია, ერთი და იგივე ფორმაა, როგორც ირიბი ბრუნვის ფორმა, მაგრამ *ამ* ისეთ სიტყვებშიაც გვხვდება, სადაც არ შეიძლება იყოს ბრუნვის ფორმა, მაგალითად, სიტყვა *ამდენი-ში*. ასევე სიტყვა *ლამაზ-*

ულამაზქალო-ში არ არის ირიბი ბრუნვის ფორმა, არამედ ფუძე. ფუძისა და ირიბი ფორმის განსხვავება მნიშვნელოვანია იმის მიუხედავად, რომ ფორმალურად იდენტურია, ვინაიდან ბრუნვა სიტყვის სინტაქსურ გარემოზე დამოკიდებულია, ფუძე კი – არა. მაშასადამე, ირიბბრუნვიან სახელზე მხოლოდ მაშინ ვილაპარაკებთ, როდესაც სინტაქსური გარემო მოითხოვს ბრუნვას.

ამას გარდა, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სინტაგმა მხოლოდ ფუძეებისგან არ შედგება. ამის ორი დასტურია. პირველი არის *დედის* ფორმა *უ-დედ-ის-ალერს-ო-ში* (თ), რომელიც ერთმნიშვნელოვნად სიტყვის ფლექსიური ფორმაა და არა ფუძე, ვინაიდან მას აქვს ნათესაობითის სუფიქსი.<sup>3</sup> მეორე, ფორმა *უბავშვებოდ* (ნ)-ში შეიცავს მრავლობითის ფორმას, რომელიც არა ფუძედ, არამედ ფლექსიურ ფორმად ითვლება.

სიტყვისგარეთ მდგომი სინტაგმებისგან განსხვავებით კი *უ-ო* აფიქსიანი სინტაგმები სტრუქტურულად, ეტყობა, შეზღუდულია. პირველი შემადგენლის ნათესაობითიანი სახელის ნათესაობითიანი მსაზღვრელი მისაღებია როგორც (3) (ა)-ში, მაგრამ ასეთი სავარცობი შეზღუდულია: მისაღებია მაკლასიფიცირებელი ნათესაობითი სახელი, მაგრამ მიუღებელია არამაკლასიფიცირებელი ნათესაობითი სახელი როგორც (ბ)-ში. მიუღებელია აგრეთვე ორი მსაზღვრელი (ჩვენებითი მსაზღვრელი და ზედსართავული მსაზღვრელი *ამ-ოფიციალურ-* (გ)-ში).

- (3) (ა) უ-[[[კუ-ს]-ძელ-ის]-ჩარჩო]-ო სათვალე  
(ბ) ?? უ-[[[მეგობრ-ის]-ბიძის]-მონმარებ]-ო-დ  
(გ) ?? უ-[ამ-ოფიციალურ-ბარათ]-ო-დ

აღსანიშნავია, რომ ზოგი ფორმა ნაკლებად მისაღებია (და ამიტომ ალბათ უფრო იშვიათად გვხვდება). მ. სუხიშვილი (1984:181) ისეთ მაგალითებს, როგორიცაა *უთანდებულიანბრუნვიანო*, „უხერხულად“ თვლის, და ფიქრობს, რომ „გამართლებული არ უნდა იყოს“, „რადგან არ ქმნიან ახალ ერთეულს, ახალ სიტყვას“. უხერხულობის ერთ-ერთი ფაქტორია „სიტყვის სიგრძე“: „მოკლე ფორმა უფრო ბუნებრივად აღიქმება“.

ამ პრობლემებს სჭირდება უფრო ღრმა ემპირიული გამოკვლევა.

2. ენათმეცნიერებაში სიტყვა ლინგვისტური ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ერთეულად ითვლება, რადგან სიტყვის ცნების საშუალებით მორფოლოგია ისაზღვრება სინტაქსისაგან. მაშასადამე, საჭიროა შესაძლებელი სიტყვის განსაზღვრა. ამ განსაზღვრის ერთ-ერთი ასპექტი არის ოდინდელი თვალსაზრისი, რომ – უხეშად რომ ვთქვათ – შეუძლებელია კომპოზიტები ჩართულ ერთეულად შეიცავდნენ სინტაგმებს (ფრაზებს) (“no phrase constraint”, Botha 1981), ე.ი. ამ პრინციპის მიხედვით სინტაქსი არ მოქმედებს სიტყვის ფარგლებში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მრავალ ენაში არსებობს გამონაკლისები.

<sup>3</sup> შდრ. ჰარისის გამოკვლევა (Harris 2002), რომელშიც მან განიხილა ბრუნვიან-თანდებულიანი ფორმები როგორც სიტყვის შემადგენლები: *მეგობარ-თა-გან-ი*.

სიტყვები შეიძლება შეიცავდეს სინტაგმებს, და სინტაქსი ამ შესიტყვებების სწორ ჩამოყალიბებას მართავს მაშინაც, თუ სინტაგმა სიტყვის ნაწილია (Booij 2009:89). ამიტომ სტრუქტურული ნათესაობითიც გვხდება, რომელიც შემდეგი სინტაქსური კონფიგურაციითაა განპირობებული: [[სახელური ფრაზა] სახელი].

ჩვენი აზრით, სტრუქტურული ნათესაობითი სიტყვის ფარგლებში ისეთივე ფლექსიის შემთხვევაა, როგორც შეთანხმება (Booij 1996: 9), რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.<sup>4</sup> ბრუნვას ასეთ შემთხვევებში შეუძლია მხოლოდ სიტყვის შინაგანი მიმართებები გამოხატოს (იქვე), და არ გამოხატავს სიტყვის გარეთ მდგომ სიტყვასთან მიმართებას. განვიხილოთ:

(2) (თ') უ-[[დედ-ის-საღერს-]ო შვილი

აქ ნათესაობითი *დედის* სინტაქსურად არ მიემართება სახელს *შვილი*; არ არსებობს უშუალო სინტაქსური მიმართება *დედის-სა* და *შვილი-ს* შორის. ეს უდრის ზოგად შეზღუდვას, რომლის თანახმად, სინტაქსს შეუძლია შეეხოს მხოლოდ სიტყვებს, სიტყვის ნაწილებს კი – არა. სხვანაირად რომ ვთქვათ, სინტაქსის ერთეულები არის სიტყვები და არა სიტყვის ნაწილები. ეს არის „ლექსიკური მთლიანობის შეზღუდვა“ (“lexical integrity constraint”<sup>5</sup>).

შევაჯამებთ შედეგებს: სიტყვაში ჩართული სინტაგმები შეიძლება შეიცავდეს ფლექსიურ ფორმებს, სახელდობრ, როგორც მრავლობით ფორმებს, ე.ი. სემანტიკურად განპირობებულ ფლექსიურ ფორმებს, ისეც ნათესაობით ფორმებს, ე.ი. სინტაქსურად განპირობებულ „კონტექსტუალურ“ ფლექსიას. მრავლობითი (2) (ბ)-ში ეხება რეფერენტების (ბავშვების) სიმრავლეს, ე.ი. თვით სახელის სემანტიკურ თვისებას; ნათესაობითი (2) (თ)-ში ეხება განმსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არსებულ მიმართებას, ე.ი. კონტექსტთან მიმართებას.

შემდეგში მე განვიხილავ სიტყვაწარმოების ორ ტიპს, რომლებიც შეიცავს ორ განსხვავებულ სინტაქსურ ერთეულს: *იან-სუფიქსიან* სახელებს (ან სახელურ სინტაგმებს) (შანიძე 1973: §163) და „მიმღებობიანი ქონების სახელებს“ (ან ზმნურ სინტაგმებს) (შანიძე 1973: §196).

3. ჯერ განვიხილოთ *იან-სუფიქსიანი* სახელები (4) (ა)-(ვ) და მსგავსი ტიპის მაგალითი (4) (ზ)-(თ).

<sup>4</sup> ბოი (Booij 2009:89) სიტყვის შიგნითა ფლექსიას შეზღუდვას: უშვებს მხოლოდ “inherent inflection” (ე.ი. თვით სახელის სემანტიკის დამახასიათებელ ფლექსიას): “the kind of inflection that we find [in complex words]-ის inherent inflection that is determined by the semantics, and not by syntactic rules such as agreement or structural case marking that require the inflectional marking of word parts by a linguistic unit outside of that word”. მაგრამ ეს აკრძალავს სიტყვაში ჩართული სინტაგმის შემადგენელს არ ეხება (Booij 1996:9): “we do find contextual inflection inside words, but only when the inflected word forms [are] part of a phrase that is embedded in a word.”

<sup>5</sup> “The syntax neither manipulates nor has access to the internal structure of words” (Anderson 1992:84). ბოი დაამტკიცა, რომ სიტყვის ნაწილები ზოგჯერ სინტაქსისთვის მისაწვდომი უნდა იყოს (Booij 2009), ასე რომ, წესის მეორე ნაწილი გამართლებული არ არის.

- (4) (ა) [შედედებულ-რძ]-იან-ი ყავა (რ. კ.)
- (ბ) [[ნაბდ-ის]-ქულ]-იან-ი კაცი (ჭაბ. 94)
- (გ) [[ხარისხ-ის]-სახელმწიფო-ნიშნ]-იან-ი პროლექცია (ჭაბ. 97)
- (დ) [[ერთ-გვარ]-[[პირ-მიუმართავ]-დამატებ]]-იან-ი შერწყმულ-ი წინადადება (კიზირია 1984:212)
- (ე) [ასეთ-უჩვეულო-სათაურ]]-იან-ი რომან-ი (რ.კ., Boeder – Schroeder 2000:184; შდრ. ჭაბ. 96)
- (ვ) [ოცდაათ-კვადრატულ-მეტრ]]-იან ბინაში (ჭაბ. 97)
- (ზ) [[[კუ-ს]-ძვლ-ის]-ჩარჩო]-იან-ი სათვალე (= (1); შდრ. (3) (ა))
- (თ) [[[მუყაო-ს]-ყუთ-ის]-მაგვარ]-ი ფორმა (ნ. დ.)
- (ი) \*[ამ-რძ]-იან-ი ყავა (რ. კ.)
- (კ) \*[[დელაქალაქ-ის]-ამ-ხედ-ებ]-იან-ი ალბომი (რ. კ.)
- (ლ) \*[ამ-თხ-ის]-რძ-იან-ი ყავა (რ. კ.)
- (მ) [[ამ ქალაქ-ის]-ხედ-ებ]-იან-ი ალბომი (რ. კ.)

(ა)-(თ)-ში ყველა სახელური სინტაგმა რეფერენციალური (სპეციფიკური) არის,<sup>6</sup> მაგრამ დეფინიტიური ვერ არის (Harris 2007:228), იხ. (ი). ამით ისინი განსხვავდება უ—ო-აფიქსიანი სიტყვებისაგან (იხ. (2) (ე)-(ზ)). მაგრამ ზოგი დეფინიტიური მართული ნათესაობითი სინტაგმაში, ეტყობა, მისაღებია, იხ. (ლ) ვს. (მ). როგორც ვხედავთ, შესაძლებელია როგორც მმართავი სახელი (გ)-(დ)-ში, ასევე ნათესაობითიანი სახელი გავრცობილ იქნეს ზედსართავიანი ან ნათესაობითიანი მსაზღვრელით: *სახელმწიფო-* (გ)-ში (შდრ. რეკურსიული ზედსართავიანი განსაზღვრა (დ)-(ვ)-ში), *კუ-ს ძვლ-ის* (ზ)-ში, *მუყაოს-ყუთის-* (თ)-ში. ნათესაობითიანი სახელი (ზ)-(თ)-ში მაკლასიფიკაცირებელი ტიპისაა (შდრ. (3) (ა)): *კუს* (ზ)-ში განსაზღვრავს ძვლის ტიპს, *მუყაო-ს* (თ)-ში განსაზღვრავს ყუთ-ის ტიპს და ა.შ. რეკურსიული მარცხნივი განშტოება როგორც (ზ)-სა და (თ)-ში ადრე (Yngve 1960) მიიჩნეოდა როგორც ფაქტორი, რომელიც ამძიმებდა ენის დამუშავებას, მაგრამ ჩემი ინტუიციური განსჯით ისე ჩანს, რომ ის არანაირ სირთულეს არ უქმნის ქართველებს. ამის მიუხედავად, რეკურსიულობა სიტყვის მორფოლოგიაში შედარებით იშვიათია, და ბევრ სხვა ენაში ტიპურმა სიტყვამ რეკურსიულობა არ იცის (Matthews 1974:164-165). მაგრამ ქართულში ზმნურ ფლექსიურ მორფოლოგიაშიც გვაქვს რეკურსიული ფორმები, როგორიცაა:

(5) [[აკეთ-ებ]-ინ-ებ]

ჩვენს კონტექსტში გადამწყვეტია ის გარემოება, რომ ნათესაობითის მართვა (ზ)-(თ)-ში სინტაქსური პროცესია. მართვის გვერდით მოსალოდნელია მეორე სინტაქსური პროცესი, კერძოდ, ბრუნვის შეთანხმება, ვინაიდან ქართულ სტანდარტულ ენაში ზედსართავიანი მსაზღვრელები შეთანხმებულია თავიანთ მმართავ სახელთან. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

<sup>6</sup> შდრ. ჰარისი (2007:212) მიმღობიანი კომპოზიტების შესახებ.

- (6) (ა) [[ვითარებით-ბრუნვ-ის]-ფორმ-ებ]-იან სახელ-თა სტატუს-ი  
(თ. ვაშაკიძე, ნ. ჯორბენაძე: *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები*

XXI)

- (ბ) [[ვითარებით-ი-ბრუნვ-ის]-ფორმ-ებ]-იან სახელ-თა სტატუს-ი  
(გ) [[უცნობ-ი ქალაქ-ის] ხედ-ებ]-იან-ი ალბომ-ი (ლ. გ., Boeder – Schroeder 2000:183)  
(დ) [[უცნობ-ი ქალაქ-ის] ხედ-ებ]-იან ალბომ-ს

ამ მაგალითებში, ცხადია, სახელებს *ფორმებ-* და *ხედებ-* არ შეიძლება ჰქონდეს ბრუნვის ნიშანი, ვინაიდან იბრუნვის მხოლოდ *იან-სუფიქსიანი* ბოლო სიტყვა შეთანხმების შედეგად, და არა ამ სიტყვაში ჩართული სახელები, რომლებსაც არც შეთანხმების მმართავი ბრუნვიანი საზღვრული, და არც ბრუნვის მმართავი სახელი აქვთ.<sup>7</sup> ამის საპირისპიროდ, სხვაგვარადაა ნათესაობითი *ბრუნვის* ფორმა: ნორმალური წინადადების სინტაქსში ჩვენ ველოდებით შეთანხმებას: *ვითარებითი ბრუნვის* როგორც (ბ)-(დ)-ში, მაგრამ (ა) ვარიანტი ზოგიერთი ქართველის მიერ ნორმად მიჩნეული ჩანს. მაშინ როცა ერთ ვარიანტში (ა)-ში მხოლოდ მართვის სინტაქსური წესი მოქმედებს, (ბ) და (გ) ვარიანტში მოქმედებს როგორც მართვა, ასევე შეთანხმება. (დ)-ში ჩანს, რომ სიტყვა *უცნობი-ის* ბრუნვა დამოუკიდებელია სახელის ბრუნვისგან *ალბომს*, და ამიტომ არ შეიძლება ისე, როგორც (გ)-ში, განპირობებული იყოს *ალბომი-ს* სახელობითით.

4. მაგრამ გადამწყვეტია ის, რომ სახელური თავის ზედსართაულ მსაზღვრელებს უბრუნვისნიშნო ფორმა აქვთ:

- (7) (ა) მაღალ-ქუსლ-იან-ი ფეხსაცმელ-ი  
(ბ) მაღალ-ი ქუსლ-იან-ი ფეხსაცმელ-ი

(ბ)-ში *მაღალ-ი* არასდროს შეიძლება *ქუსლ-ს* მიემართებოდეს, არამედ უნდა მიემართებოდეს ფორმას *ფეხსაცმელი*.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა დავასახელო ზოგიერთი ფორმა *-ელ* სუფიქსით:

<sup>7</sup> ამ წესის მნიშვნელობა ცხადი ხდება სვანურში. ამ ენაში *-იან* სუფიქსის შესატყვისი არის *le-/lə-/lu-* პრეფიქსი: *lə-pät* ‘თმ-იან-ი’. ზემოსვანურის შემდეგი მაგალითები მის შეთანხმებას ნათელყოფს: *mešxe märe* ‘შავი კაცი’, *mešxe lə-pätv mar-a/mare-s xetxelia? deme, tetne lə-pätv-s* ‘შავ პრეფიქსი-თმა კაც-მაცემითი ეძებ?’ – არა, თეთრ პრეფიქსი-თმა-მაცემითი’ (შავთმიანმა კაცმა მოგცა?); *deme, tetne lə-pätv-d* ‘არა, თეთრ პრეფიქსი-თმა-მოთხრობითი’. აქ ატრიბუტი *mešxe / tetne* შეუცვლელია. მაგრამ ლაშხურ-ჩოლოლურში სახელობითისა და ირიბი ბრუნვის ოპოზიცია გვაქვს როგორც არაჩართული სინტაგმების, ასევე ჩართული სინტაგმის ატრიბუტებში: სახელობითი *mešxe vs* ირიბი *mešxa, tetne vs mešxa: mešxa lu-patv mar-a/mare-s xetxelia? deme, tetna lu-patv-s;* (შავთმიანმა კაცმა მოგცა?) *deme, tetna lu-patv-d*. აქ პრეფიქსიანი ატრიბუტი შეთანხმებულია იმიტომ, რომ მისი საზღვრული სახელი „თმა“ იბრუნვის, მაშინ როდესაც ქართულში იბრუნვის არა *თმა-*, არამედ *თმ-იან-*, რომელიც საზღვრული არ არის (დიდად ვმადლობ მედეა სალლიანს სვანური მონაცემებისთვის ატრიბუტის შესახებ).

- (8) (ა) უცხო-პლანეტ-ელ-ი (ჭაბ. 94)
- (ბ) [[აგურ-ის]-ქარხნ]-ელ-თა კამათ-ის საგანი (ჭაბ. 95)
- (გ) [[იმ-სოფლ]-ელ]-ი კაც-ი-ა, სადაც დავიბადე
- (დ) ეგ [[[ჩემ-სოფლ]-ელ]-ი კაც-ი-ა
- (ე) ეგ ჩემ-ისოფლ-ელ-ი კაც-ი-ა (შდრ. ჩემ-ს სოფლ-ელ კაც-ს ვერ ვხედავ)

(ა)-(დ)-ს აქვთ მსაზღვრელები (დეტერმინანტები), როგორცაა იან-სოფიქსიან ფორმებში. პრობლემატურია ფორმა (ე). მაშინ როცა (დ)-ში ჩემ-სოფლ-ელ-ი ერთი სიტყვაა, (ე) ჩემ-ი სოფლ-ელ-, სავარაუდოდ, ორ სიტყვას შეიცავს, რომლებიც უთანხმდება სიტყვას კაცი. თუ ეს სწორია, მაშინ (ე) მოგვაგონებს საიათნოვას ერთ გრამატიკულად უცნაურ სტრიქონს:

- (9) შავ-ო მაცვალი-ვით თვალ-ებ-იან-ო (საიათნოვა)
- < მაცვალი-ვითშავ-თვალ-ებ-იან-ო

ორივე შემთხვევაში სინტაგმის შემადგენელი (შავ როგორც შავთვალეებ-ის შემადგენელი, ჩემი, როგორც ჩემსოფლე-ის შემადგენელი) „გადაადგილებულია“ სიტყვის გარეთ. მე მაკლია საჭირო მასალა, ეს შემთხვევა რომ შევაფასო და ამიტომ პრობლემა გადაუჭრელად უნდა დავტოვო. მაგრამ ჩემი (ე)-ში, ალბათ, მაინც განსხვავებულია შავო ფორმისაგან (9)-ში. შესაძლებელია, რომ სოფლე-ის (ე)-ში „თანასოფელი“-ს მნიშვნელობა აქვს, ანალოგიურად შესიტყვებებისა, როგორცაა ჩემი კლასელი „ჩემი თანაკლასელი“. მაშინ ჩემი იქნებოდა სოფლე-ის მსაზღვრელი კლასელი-ს შესაბამისად. თუ ეს სწორია, შავო-ს და ჩემი-ს პარალელიზმი მოჩვენებითია.

5. მართლწერაში სიტყვებისგან შედგენილი სიტყვის სტატუსი ზოგჯერ გამოხატულია ერთად დაწერით, ასე მაგალითად, (10) (ა)-ში. ამის საპირისპიროდ, გაყოფილად დაწერილ (10) (ბ)-ში, სავარაუდოდ, გამოხატულია ინტუიცია, რომ საქმე ეხება რამდენიმე სიტყვას:

- (10) (ა) ვითარებით-ბრუნვის-ფორმ-ებ-იან სახელ-ს
- (ბ) ვითარებით ბრუნვ-ის ფორმ-ებ-იან სახელ-ს

ორივე მოსაზრება გამართლებულია: (ა)-ში გამოხატულია, რომ საქმე ეხება ერთ სიტყვას, (ბ)-ში გამოხატულია, რომ თავად ეს სიტყვა სინტაგმაა და რამდენიმე სიტყვის ფორმისაგან შედგება. საქმე ეხება პერსპექტივის საკითხს. ამას, სავარაუდოდ, ემატება სხვა ფაქტორები, რომლებიც მეორე თვალსაზრისს უჭერენ მხარს, კერძოდ, ცალკეული სიტყვების დიდი სიხშირე და პროსოდიული თავისებურებები: თითოეულ ამ შემადგენელ სიტყვას, სავარაუდოდ, აქვს საკუთარი პროსოდიული კონტური სინტაგმის ფარგლებში, მსგავსად როგორც არაჩართულ სინტაგმაში („შესიტყვებები“ იხ. თევდორაძე 1970, „ფრაზები“ თევდორაძე 1978).

ახლა ავიღოთ სხვა, მარტივი მაგალითი და დავსვათ კითხვა, რა სტატუსი აქვს მსაზღვრელს ასეთ *იან-სუფიქსიან* სიტყვებთან:

(11) ორი ჰიპოთეზა (Harris 2007:209; 225)

(ა) “external modifier analysis”:

[[ორ] [მარცვლიანი]] სიტყვა

(ბ) “internal modifier analysis”:

[[ორ მარცვლ]-იან-ი] სიტყვა

(ა)-ს შეხედულებით *ორ* და *მარცვლიანი* ორი სიტყვაა, და *ორი* არის სიტყვა *მარცვლიანი-ს* ნაწილის *მარცვლ-* გარეგანი მსაზღვრელი. ეს შეხედულება შეესაბამება ინტუიციას, რომ საქმე (ალბათ!) ეხება ორ ფონოლოგიურ სიტყვას, რომელთაგანაც თითოეულს მახვილი აქვს. მაგრამ ეს შეხედულება სემანტიკურ და მორფოლოგიურ პრობლემასთანაა დაკავშირებული. სემანტიკური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ აქ მსაზღვრელს *ორ* სიტყვის ნაწილი სკოპუსად აქვს, კერძოდ *მარცვლ-*. ეს არის ეგრეთ წოდებული ფრჩხილების პარადოქსი (“bracketing paradox”): (ა)-ს სტრუქტურა არ შეესაბამება სემანტიკურ მიმართებას. ამგვარი პრობლემები განსაკუთრებით ინგლისურშია მრავალრიცხოვანი (Berg 2010), როგორც, მაგალითად, სინტაგმაში *criminal lawyer*, რომელშიც არ იგულისხმება აუცილებლად კრიმინალური ადვოკატი, არამედ ის, ვინც იცავს კრიმინალურ კლიენტებს, რომლებიც ეკუთვნიან *lawyer*-ის სემანტიკას. პრობლემა შესაძლებელია გადაიჭრას ინტერპრეტაციის განსაკუთრებული წესით, რომელიც უშვებს, რომ ზოგიერთი მსაზღვრელის მნიშვნელობა დაუკავშირდეს სხვა სიტყვის ნაწილს (Harris 2007). ქართული რამდენად მოითხოვს ასეთ წესს ჩვენი პრობლემისგან დამოუკიდებლად, მე არ ვიცი. ამდენად, უნდა დარჩეს პრობლემა ღიად. მაგრამ ამას ემატება მეორე, მორფოლოგიური პრობლემა. ამ ანალიზში (ა)-ს შესახებ საჭიროა არა მარტო დამატებითი სემანტიკური ინტერპრეტაციის წესი, არამედ ასევე უნდა აიხსნას, ცალკე სიტყვა *ორ* რატომ არ იბრუნვის, რადგან სიტყვის გარეშე „ირიბბრუნვიანი“ სახელები მხოლოდ მსაზღვრელის პოზიციაში გვხვდება (მაგალითად, სინტაგმაში *ორ მარცვალს*). ასეთი კონფიგურაცია *ორ-მარცვლიანი*-ის შემთხვევაში არ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა მეორე, დამატებითი წესი, კერძოდ, რომ მსაზღვრელი გვხვდება „ირიბი ბრუნვის“ სახით,<sup>8</sup> თუ ის სიტყვის ნაწილს განსაზღვრავს (“when it modifies part of a

<sup>8</sup> ჰარისი (Harris 2007) ლაპარაკობს ზან „შიშველ ფუძეზე“ (bare stem, გვ. 219), როგორც გვხვდება კომპოზიტებში, გვ. 221), ზან „ირიბ ბრუნვაზე“ (oblique, გვ. 206, 216), სახელდობრ, „სახელობითი განსხვავებული ბრუნვა“ (217). ბოის (Booij 2009:90) ჰარისი ესმის მხოლოდ ამ ბოლო გაგებით: “[sam tit-moçrili (kaci):] The first word *sam* has to appear in the oblique form, because it modifies the word *tit* ‘finger’ which is part of the second word. That is, for the purpose of both case assignment (to the independent word *sam* only) and semantic interpretation, *sam* and *tit* form a unit. As Harris argues, the word *sam* cannot be considered a part of the next word (although its form is indeterminate and could also be interpreted as a stem form), because recursive



word”, Harris 2007:221) და ამგვარად ეხება სიტყვის შინაგან სტრუქტურას. ორივე წესისთვის არ ვიცი დამოუკიდებელი დამოწმება. მას შემდეგ, რაც უკვე ნათელია, რომ სიტყვები შეიძლება შეიცავდეს შესიტყვებებს, ჩემთვის უფრო მისაღები ვარაუდია, რომ *ორ* და *მარცვლ* ქმნის სინტაგმას “internal modifier analysis-ის” მიხედვით (ბ)-ში და რომ *ორ-ს* იმიტომ არ აქვს ბრუნვის ნიშანი (ან უფრო ზუსტად: რომ ფუძეა და არა ირიბბრუნვიანი ფორმა), ვინაიდან *მარცვლ-ს* არ აქვს ბრუნვა, რომელთანაც შეთანხმებული იქნებოდა *ორ*, ან ვინაიდან სიტყვის ფარგლებში არავითარი შეთანხმება არ შეიძლება არსებობდეს, თუკი იმ ქართველებს მივყვებით, რომლებიც აღიარებენ მხოლოდ (10) (ა) ვარიანტს *კითარებით-ბრუნვის* (რომელშიც *კითარებით* არ არის შეთანხმებული ფორმასთან *ბრუნვის*). სიტყვის ფარგლებში უბრუნვო სახელები ან ფუძეებია (მაგალითად, *ორ*), ან დამატებითი სემანტიკური შინაარსის მატარებელი ფლექსიის სუფიქსიანი ფორმები (მაგალითად, მრავლობითი *ხედებ* (6) (დ)-ში).<sup>9</sup>

6. მე შევაჯამებ აქამდე შედეგებს: *-იან* სუფიქსიან სიტყვებს აქვთ შესიტყვებები, როგორც სიტყვაწარმოების ამოსავალ ერთეულს, სახელდობრ, სახელურ ჯგუფს, რომელიც შეიძლება კომპლექსური იყოს. სიტყვაში ჩართული შესიტყვებების ფარგლებში არსებობს მართვა და ქართულის ერთ ვარიანტში ასევე შეთანხმება. სახელები, რომლებზედაც არც მართვა და არც შეთანხმება მოქმედებს (მხოლობითი ან მრავლობითი), ფუძეებია და არა ირიბი (ბრუნვიანი) ფორმები.

ეს სახელური ჯგუფები სპეციფიკურად ქართული სიტყვაწარმოებაა, რომელთა თარგმანი სხვა ენებზე, ჩვეულებრივ, არ არის შესაძლებელი მორფოლოგიური საშუალებებით. გიორგი შალამბერიძემ (1980:23) ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამ ქართულ ფორმებს რუსულში და უმეტეს ევროპულ ენებში ხშირად შეესაბამება თანდებულებიან შესიტყვებები, რაც ქართულში კალკის სახით არის შემოტანილი:

(12) ფილტრ-იანი-ი სიგარეტ-ებ-ი

რუსული *sigarety s filtrom* > კალკი: სიგარეტ-ებ-ი ფილტრ-ით

7. *იან-სუფიქსიანი* და *ზოგიერთი* სხვა სუფიქსიანი სიტყვაწარმოების გვერდით, რომელთა ამოსავალი ერთეული სახელური სინტაგმაა, არსებობს სხვა სიტყვა-

modification is not allowed within Georgian compounds. Hence, it should be interpreted as the oblique form of an independent word. This case assignment thus requires access to the internal morphological structure of the second word [i.e. *tit-moçrili*]”. ეს ფორმულირება თუ ჰარისის აზრს წარმოადგენს, *petitio principii* გვაქვს: მრავალგზისი განსაზღვრების აკრძალვა სიტყვის ფარგლებში არის საინტერესო შეზღუდვა, რომელიც ჩვენს ანალიზშიც დასტურდება, მაგრამ *სამ* და *თით* რა გაგებით არის *მოჭრილი-ის* “recursive modification”? *სამ* არის *თით-ის* “modifier” (ფართო გაგებით), მაგრამ (*სამ*) *თით* არ არის *მოჭრილი-ის* “modifier”, არამედ ერთი და იგივე ფუნქცია აქვს როგორც (*სამი*) *თითი* სინტაგმაში: (*სამი*) *თითი მოჭრა / მოჭრილი აქვს*.

<sup>9</sup> ჰარისის ანალიზი მარტივ განმსაზღვრელს ეხება. ამას კი ემატება ერთზე მეტი განმსაზღვრელის პრობლემა. (4)(გ)-ში *ხარისხის სახელმწიფო* შემადგენელი არ არის, და მისი ნაწილები “external modifier analysis”-ის მიხედვით ალბათ ცალ-ცალკე *ნიშნ-ს* უნდა დაუკავშირდეს.

წარმოებაც (ა. შანიძის ტერმინოლოგიით: „თხზვა: ქონების შერწყმული მიმღეობიანი სახელები“), რომლის ამოსავალი ერთეული ცხადად ზმნური სინტაგმაა, რომლის ზმნა მიმღეობაა და რომელიც შეესატყვისება მიმართებით წინადადებას, რომლის ზმნას ახასიათებს სასხვისო ან სათავისო ქცევისა, ან ქცევის მსგავსი სემანტიკა (იხ. (ა); დაწვრილებით იხ. Boeder 1999). გარდა ამისა, ეს ზმნური სინტაგმები უმეტესად სახელურ სინტაგმას შეიცავს, რომელიც, თავის მხრივ, კომპლექსური შეიძლება იყოს:

- (13) (ა) **[სასიკვდილო-ჭრილობა]**-მიყენებული ვეფხვი (ჭაბ. 97)  
შდრ. ვეფხვი, რომელსაც მიაყენეს ჭრილობა
- (ბ) **[საყვარელ-ნაბად]**-მოსხმული (ჭაბ. 95)
- (გ) **[სრულ-[საშუალო-სკოლა]]**-დამთავრებული (ჭაბ. 95)
- (დ) **[ყელ-კისერ]**-მოშიშვლებული (ჭაბ. 95)
- (ე) **[[ჭირ-ის]-ოფელ]**-დასხმული (ჭაბ. 97)
- (ზ) **[პაპ-ის-[[[ცხვრ-ის]-თავ-ის]-ქულ]]**-ჩამოფხატული  
(ე. გაბაშვილი apud შანიძე 1973:161)

მაგრამ ეს სტრუქტურა არ არის შეზღუდული სახელურ სინტაგმაზე, როგორც *იან-სუფიქსიანი* ფორმების შემთხვევაში, ვინაიდან ასევე არსებობს ყველა სახის ზმნისართული ერთეულები:

- (14) (ა) თოფ-ებ-**მალლა**-აშვერილი (ა. ყაზბეგი apud შანიძე 1973:160)
- (ბ) სტუმარ-**შინ**-შაუყვანელო („ხვესურული ლანძღვა“, შანიძე 1973:161)
- (გ) ბოხცა-ჩემოდნ-ებ-**ახლო**-მიწყობილი მგზავრები (ჭაბ. 97)
- (დ) ცხელ-წყალ-**თავ(ს)**-გადასხმული (ი. ჭავჭავაძე apud შანიძე 1973:161)
- (ე) **წელ-ზე**-შალ-მოხვეული ქალი (ჭაბ. 98)
- (ვ) **პირ-ზე**-ოფელ-გადამდინარე მომღერალი (ჭაბ. 98)
- (ზ) **წელ-ზე** მოხვეული შალი
- (თ) \*მოხვეული **წელ-ზე** შალი, \*მოხვეული შალი **წელ-ზე**
- (ი) **ჭელ-ზე**-აპყრობით ლოცვასა და ვედრებასა შინა იყვნეს (სინ. მრავალთავი 106,5 apud შანიძე 1973:§196)

(ა)-(დ)-ში საქმე ეხება ზმნისართებს, რომლებიც, როგორც შანიძე (1973:161) გარკვევით შენიშნავს, სახელსა და მიმღეობას შორის ჩნდება, თუ ისინი „მოკლეა“ (ე.ი. უთანდებულო?). ამის საპირისპიროდ, სიტყვაში ჩართული თანდებულიანი ფორმები დგას დასაწყისში (ე)-(ვ), ისევე როგორც სიტყვის გარეთ მდგომი თანდებულიანი ფორმები მიმღეობიან სინტაგმებში (ზ); შდრ. არასწორი ფორმები (თ)-ში.

მაშასადამე, სიტყვის ფარგლებში პოზიციების თანამიმდევრობა მყარია. ეს შეესატყვისება ვითარებას, რომ ეს შესიტყვებები სიტყვების ნაწილებია. სიტყვის ფარგლებში ერთეულების პოზიციები მყარია.

საინტერესოა, რომ ეს სტრუქტურა უკვე ძველ ქართულში არსებობდა. შდრ. (ი), რომელიც გვაჩვენებს, რომ მასდარსაც შესატყვისი სტრუქტურა აქვს.

ზმნური შესიტყვებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სახელური შესიტყვებებისგან, როგორც სიტყვაწარმოების ამოსავალი ერთეულები: ზმნური სინტაგმა შეიძლება შეიცავდეს ზმნისართულ ერთეულებს, სახელური სინტაგმა კი – არა.

8. კომპოზიტების სიტყვის სტატუსისა და მისი ნაწილებისთვის მომდევნო ორი თვისებაა საინტერესო: მათი მახვილი და გათიშვადობა.

მთავარი მახვილი ბევრ ენაში განსხვავებს სიტყვას სიტყვის შემადგენლები-საგან (Harris 2007:213).<sup>10</sup> წინასწარი ფონეტიკური ანალიზი ჯერ კიდევ სრულიად ნათელ სურათს არ გვაძლევს.<sup>11</sup> შდრ.

- (15) (ა) ჯილდო-მინიჭებული მოღვაწე
- (ბ) ხელებ-გაშლილი კაცი

წაკითხვის დროს 1) საზღვრულის მახვილი (*მოღვაწე, კაცი*) შედარებით სუსტია. 2) მიმდებარე მახვილი უმეტეს შემთხვევებში ბოლოდან მესამე მარცხაღმოსავლურ მოუდის (*მინიჭებული, გაშლილი*). 3) უმეტეს შემთხვევებში პირველ (სახელურ) შემადგენელზე მახვილი მოუდის (*ხელებ-, ჯილდო-*). 4) მსაზღვრელის ბოლო ხმოვანზე ხშირად ტონის აწევა გვაქვს (*ჯილდო-მინიჭებულ<sup>ი</sup> მოღვაწე, ხელებ-გაშლილ<sup>ი</sup> კაცი*). სანამ ბუნებრივი მეტყველების სინტაგმების (არაიზოლირებული სიტყვების) სისტემური ანალიზი არა გვაქვს, არ ვიცით ასეთ ფორმებს (*ჯილდო-მინიჭებული, ხელებ-გაშლილი*) და შესატყვისი სინტაგმებს ერთნაირი პროსოდიული თვისებები აქვს თუ არა (იხ. ზემოთ, 5.), და, მაგალითად, *სამ-თით-მოჭრილი* ფორმაში *სამ* პროსოდიულად როგორ განსხვავდება *თით-ისაგან*.

ჰარისმა (Harris 2007:213) გამართლებულად მეორე მიღებული კრიტერიუმი გამოიყენა: სიტყვის არაგათიშვადობა. ასე მაგალითად, ნაწილაკი *-ვე-* სიტყვაში ჩართვა მისაღები არ არის (16) (ა)-ში. ამ კრიტერიუმის მიხედვით *ხელებ-გაშლილი* ერთი სიტყვაა და არა ორი. ამავე კრიტერიუმის მიხედვით *შავ-გულის-პირ-იანი* არის ერთი სიტყვა და *-ვე-თი* გათიშვა მისაღები არ არის, იხ. (ბ). სწორი ფორმა არის (გ). ამით *შავ-* (ბ)-ში განსხვავდება არაჩართული სინტაგმის

<sup>10</sup> ჰარისმა (Harris 2007: 213) სწორედ *ხელგაშლილი* ფორმა აირჩია ამ მახვილიანობის ტესტისთვის და დასკვნა გააკეთა, რომ ამ ტიპის კომპოზიტებში მიმდებარე მარცხნივ მდგომი სახელი *ხელ* უმახვილოა. მაგრამ ეს ფორმა იდიომატურია (არა-კომპოზიციონალური სემანტიკისაა, რაზედაც ჰარისი თვითონ მიუთითებს, 2007:211), და გამორიცხული არ არის, რომ პროსოდიულად სხვანაირი თვისებები აქვს, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული *ხელებ-გაშლილი* (*ხელგაშლილი* vs. *ხელებ | გაშლილი*, სადაც | შესაძლო პაუზას აღნიშნავს). ამავე დროს იდიომატურობა იმის მიზეზია, რომ *ხელ-* არარეფერენციალურია, და *არა* ატრიბუტის უქონლობა (Harris 2007: 212): “but when this element [sc. მიმდებარე წინამავალი სახელი] is modified, it appears to be referential”. მაგრამ *გათიშვადობა* ფორმა *შავ-გათიშვადობა*-ში იმიტომ კი არ არის რეფერენციალური, რადგან განმსაზღვრელი *შავ-* აქვს: უამისოდაც რეფერენციალურია.

<sup>11</sup> დიდად ვმადლობ ფონეტიკოს ივანე ლეჟავას წინასწარი პროსოდიული ანალიზისა და დასკვნებისათვის.

შავი ფორმისაგან (დ)-ში. გარეგანი მსაზღვრელის ანალიზის მიხედვით ((11) (ა)) შავ- და გულისპირ-იანი (გ)-ში, საყვარელ- და ნაბად-მოსხმული (ე)-ში სხვადასხვა ღონის ცალცალკე ერთეულები იქნება ((დ)-ში ერთგვარ-პირმიუძართავ-დამატებ-იანი რამდენი ერთეული იქნება?). მაგრამ არაგათიშვადლობა გვაპარაულებინებს, რომ, მაგალითად, საყვარელ-სა და ნაბად-ს შორის გადაბმულობა ნაკლებად მჭიდრო არ არის, ვიდრე ნაბად-სა და მოსხმული-ს შორის. გათიშვადობის ფაქტები გარეგანი მსაზღვრელის ანალიზის თეორიას არ ადასტურებს.

- (16) (ა) \*ხელებ-ვე-გაშლილი<sup>12</sup>
- (ბ) \*შავ-წინსაფრ-იან-ი და შავ-ვე-გულისპირ-იანი კაცი
- (გ) შავ-წინსაფრ-იან-ი და შავ-გულისპირ-იანი-ვე კაცი
- (დ) ნაცრისფერი კაბა, შავი წინსაფარი, შავი-ვე გულისპირი (მ. ჯავახიშვილი apud Vogt 1971:217)
- (ე) საყვარელ-ნაბად-მოსხმული (შდრ. (13) (ბ))
- (ზ) \*კუს-ძელის-ვე-ჩარჩოიანი (შდრ. (1))
- (თ) \*წელზე-ვე-შალმობვეული (შდრ. (14) (ე))
- (ი) პაპის-პერანგ-ჩაცმული და პაპის-ვე-ქუდ-ჩამოფხატული კაცი (შდრ. (13) (თ))

-ვე ნაწილაკის სემანტიკა და სინტაქსი, რამდენადაც მე ვიცი, საფუძვლიანად გამოკვლეული არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, სავალდებულო (მაგრამ არა საკმარისი) პირობა არის ის, რომ კლიტიკის საყრდენი ერთეულები უნდა იყოს როგორც ფონოლოგიური, ასეც მორფოლოგიური სიტყვა. ამიტომ (ბ)-ში -ვე უშუალოდ შავ-ს ვერ მოჰყვება (ვინაიდან შავ მორფოლოგიური სიტყვა არ არის), (გ)-ში კი მოჰყვება მარჯვნივ მეზობელ ერთეულს, რომელიც არის როგორც მახვილიანი ფონოლოგიური, ასეც მორფოლოგიური სიტყვა, და ასევე პოსესიური ნათესაობითი (ი)-ში. მაკლასიფიცირებელი ნათესაობითიანი და თანდებულებიანი ფორმები კი ჯერ კიდევ უცნობი მიზეზის გამო გათიშვას არ უშვებენ, იხ. (ზ)-(თ). (17)-ში პირუკუ სიტუაცია გვაქვს: რომლის მორფოლოგიური სიტყვაა, მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, უმახვილოა, ამიტომ -ც კლიტიკა მოჰყვება მომდევნო სახელს (ქუდ-ს):

(17) რომლის ქუდი-ც (\*რომლისაც ქუდი)

9. ჩვენ ვნახეთ, რომ სიტყვაწარმოების სხვადასხვა ტიპს კომპლექსურობის სხვადასხვა საფეხური მოეპოვება. უ—ო-აფიქსიანი სიტყვების შემთხვევაში ჩადგმული სინტაგმა ორი შემადგენლითაა შეზღუდული, და პირველი შემადგენელი ერთი ზედსართაული მსაზღვრელი ან სპეციფიკური კლასის ნათესაობითიანი რეკურსიული სახელური სინტაგმა იყო. იან-სუფიქსიანი სახელების შემთხვევაში რამდენიმე ზედსართავიც გვქონდა და ისეც იმ კლასის ნათესაობითიანი რეკურსი-

<sup>12</sup> ჰარისის მაგალითი ხელ-გაშლილი / \*ხელ-ვე-გაშლილი როგორც მახვილის (იხ. შენიშვნა 10), ასევე კლიტიკის ჩართვის მიხედვით ნაკლებადაა გამოსადეგი, ვინაიდან ილიომატურია.

ული სახელური სინტაგმა. მიმღობიანი ქონების სახელებს დამატებით მარტივი ან თანდებულიანი ზმნიზელები ჰქონდა. სიტყვაწარმოების ყველა ეს ტიპი უსაზღვროდ კომპლექსური არ არის, და ახლა კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას უნდა შევხვით. ეს არის *იან-სუფიქსიანი* და მიმღობიანი სახელები, რომლებიც ისე გამოიყურებიან, თითქოს ჩართულ სინტაგმებში თანწყობაც შესაძლებელია, მაგალითად, (18)-ში. სინამდვილეში კი თანწყობილი შემადგენლების შეკვეცა (“conjunction reduction”, cf. Booij 1985) სხვა ენებშიცაა გავრცელებული (მაგალითად, გერმანულსა და ნიდერლანდურში). უხეშად რომ ვთქვა, ერთი სიტყვის ნაწილი, რომელიც მეორე სიტყვის ნაწილის იდენტურია, იკვეცება<sup>13</sup> (ქვემოთ პირველი სიტყვის ნაწილი გადახაზულია, და მეორე სიტყვის იდენტური ნაწილი ხაზგასმულია).

- (18) (ა) ~~მეტოქის ორ-გოლ-იანი~~ და ~~სამ-გოლ-იანი~~ უპირატესობა (ჭაბ. 102)  
← ორ-გოლ-იანი და სამ-გოლ-იანი
- (ბ) თვალ-ებ-~~დაბინდული~~ და გონება-~~დაბინდული~~ (ჭაბ. 102)  
← თვალ-ებ-დაბინდული და გონება-დაბინდული
- (გ) ~~ვერცხლ-ნარევი~~, ~~ტყვია-ნარევი~~ და ~~სპილენძ-ნარევი~~ მადანი  
(შანიძე 1973:§196)  
← ვერცხლ-ნარევი, ტყვია-ნარევი და სპილენძ-ნარევი მადანი
- (დ) ~~თავს(ა)-მალ-მოხვეული~~ და ~~ყელ-ზე-მალ-მოხვეული~~ ქალი (ჭაბ. 98)  
← თავზე-~~მალ-მოხვეული~~ და ყელ-ზე-მალ-მოხვეული ქალი  
← თავზე-მალ-მოხვეული და ყელ-ზე-მალ-მოხვეული ქალი

თუ ეს ინტერპრეტაცია სწორია, რა მიზეზით უნდა ვივარაუდოთ სინტაქსური თანწყობა სიტყვის ფარგლებში. მორფოლოგიური თანწყობა კი არსებობს ტოლად შერწყმულ კომპოზიტებში, მაგალითად, *ხელ-ფეხ-ში*, მაგრამ სინტაქსურად თანწყობილი ერთეულები და მათი შეკვეცა მხოლოდ არაჩართულ სინტაგმებში არის შესაძლებელი. შეკვეცა არ არის პროცესი სიტყვის ფარგლებში.

10. განხილული მასალიდან გამომდინარეობს ქართული სიტყვის შემდეგი დამახასიათებელი თვისება.

1) სიტყვა სინტაგმას შეიძლება შეიცავდეს. ამ შემთხვევაში მორფოლოგია და სინტაქსი ურთიერთგანსრულიად განყოფილი მოდულები არ არის, და ეს არა მხოლოდ ერთმანეთის ასახვის გამო, არამედ იმიტომ, რომ არსებობს სინტაქსური, არამორფოლოგიური სტრუქტურები და პროცესები სიტყვის ფარგლებში. ზოგადი ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ჩართულსინტაგმიანი სიტყვაწარმოება „მარგინალური“, არაპროტოტიპური მორფოლოგიის (Dressler 2000) შემთხვევაა.

<sup>13</sup> ამ ზოგადი პირობის გარდა, ქართულშიც სხვა (მათ შორის პროსოდიული) პირობებიც არსებობს; შდრ. Smith 2000 გერმანულის შესახებ).

თუ განვიხილავთ ცნება „სიტყვის“ სტანდარტულ აღწერას,<sup>14</sup> სინტაგმაჩართულიანი სიტყვები ტიპური არ არის: ა) სინტაგმის ჩართვა სიტყვის დანარჩენ შემადგენლებს თიშავს; ბ) იმის მიუხედავად, რომ მორფოლოგია ჩართული სინტაგმის შინაგან სინტაქსს შეზღუდავს, მისი შემადგენლების განლაგებას განსაზღვრავს სინტაქსი, და არა სიტყვაწარმოების წესები; გ) სინტაგმაჩართულიანი სიტყვას არ აქვს არც კონვენციური ფორმა და არც ლექსემური ერთეულის კონვენციური მნიშვნელობა.

2) მორფოლოგია სინტაქსის შესაძლებლობებს სიტყვის ფარგლებში შეზღუდავს.

ა) არის მხოლოდ ორი სინტაქსური პროცესი სიტყვის ფარგლებში, სახელდობრ, მართვა, ვინაიდან მმართავი სახელი მოითხოვს მართული სახელის ნათესაობითს. ზოგი ქართულენოვანისთვის აგრეთვე არსებობს ბრუნვის შეთანხმება (ნათესაობითბრუნვიან სახელურ სინტაგმაში).

ბ) ჩვენ ვეხებით სინტაგმის ორ სახეს, რომლებიც სიტყვის ფარგლებში გვხვდება: სახელური სინტაგმები უ—ო-აფიქსიან სახელებში და იან-სუფიქსიან სიტყვებში, და ზმნური სინტაგმები მიმდებარე ქონების სახელებში. ეს სინტაგმები შეზღუდულია: უ—ო-აფიქსებიან სიტყვებს მხოლოდ ორი უშუალო შემადგენელი აქვს, ე.ი. სტრუქტურები შეზღუდულია ორშემადგენლობით, ხოლო იან-სუფიქსიანი სიტყვები ერთზე მეტ მსაზღვრელს უშვებს. ორივე ტიპში გვხვდება ნათესაობითიანი სინტაგმის რეკურსიულობა. ზმნური სინტაგმები ზმნიზებებსაც უშვებენ. მაგრამ არც ერთი სიტყვაწარმოების ტიპი უშვებს სინტაქსურ თანწყობას და აგრეთვე დამოკიდებული წინადადებების ჩართვას. მაშასადამე, როგორც სინტაქსური გარემო სინტაქსში, ასევე მორფოლოგიური გარემო სიტყვაში შეზღუდავს შესაძლებელ კონსტრუქციებსა და ერთეულების კლასს ირჩევს (ე.ი. განსაზღვრავს).

სიტყვები ეკუთვნის გრამატიკული იერარქიის უფრო დაბალ საფეხურს, ვიდრე სინტაგმები და წინადადებები; ამიტომაც არის მათი შესაძლებლობები უფრო შეზღუდული, ვიდრე არაჩართული სინტაგმებისა და წინადადებებისა, ანუ ჯონ რ. როსის სიტყვებით: “More goes on upstairs than downstairs” (Ross 1973:397).

გ) სემანტიკური შეზღუდვებიც არსებობს: სიტყვაში ჩართული -იან-სუფიქსიანი და მიმდებარე სინტაგმები დეფინიტიური არ არის. უ—ო აფიქსიანი სიტყვები, პირიქით, პირიან კუთვნილებითსა და ანაფორულ ნაცვალსახელებს უშვებენ. ამ თვალსაზრისით ჰგავან ფინიტიურ ზმნებს: ორივე შემთხვევაში გვაქვს კონტექსტზე მიმათიებელი სიტყვის ელემენტები (შდრ. ბოედერი 2009). უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ქართული სიტყვები უშვებენ შინაგან

<sup>14</sup> მაგალითად: “A grammatical word consists of a number of grammatical elements which: (a) always occur together, rather than scattered through the clause (the criterion of cohesiveness); (b) occur in a fixed order; (c) have a conventionalised coherence and meaning.” (Dixon – Aikhenvald 2002:19).

ანაფორას (“inbound anaphora”, Postal 1969), როგორც, მაგალითად: *უამბოლოდ, ექსურნი, იმდროინდელი* და ა.შ. (Boeder 1972; Harris 2006), მაგრამ ქართულში არ არსებობს გარეთა ანაფორა (“outbound anaphora”, როგორც, მაგალითად, ლათინურში: *servilis tumultus, quos [sc. servos]... ‘მონების [,მონური] აჯანყება, რომლებსაც...’*), სადაც სიტყვისგარეთა ნაცვალსახელი მიუთითებს სხვა სიტყვის ნაწილზე. ასევე, ჩვენი აზრით, სიტყვის ნაწილის გარედან განსაზღვრავს (“external modification”) არ არსებობს.

3) საზღვარი არის თუ არა „მკაფიო“ სიტყვაში ჩართულ სინტაგმასა და არაჩართულ სინტაგმას შორის?<sup>15</sup> ნათესაობითიანი და თანდებულიანი სინტაგმები ორივე სტრუქტურაში ფორმალურად ერთი და იგივეა, და ეს იგივეობა შემთხვევითი არ არის: ორივე უფრო დიდი სინტაგმის შემადგენლებია.<sup>16</sup> ჩართული ზედსართავი მსაზღვრელიც მხოლოდ ნაწილობრივ განსხვავდება არაჩართული ფორმისგან: *საყვარელ-ფორმა საყვარელ-ნაბად-მოსხმული* ფორმაში და *საყვარელ ნაბადს მოისხამს* წინადადებაში ფორმალურად ერთი და იგივეა. გადამწყვეტი ნიშანი არის მომდევნო სახელის ფლექსია: უფლექსიო ფორმა *ნაბად-* სიტყვის შემადგენელი უნდა იყოს (რადგან თავისუფალი ფორმა არ არის), და ამიტომ მისი მსაზღვრელი *საყვარელ-* ფორმაც სიტყვის შემადგენელია, და არა არაჩართული სინტაგმისა. ბოლო სახელის ფლექსია ყოველ შემთხვევაში გადაწყვეტს, სიტყვაში ჩართულია თუ არა უფლექსიო ფორმა. ამ გაგებით ბოლო სახელის ფლექსია სიტყვისა და არაჩართული სინტაგმის განსხვავების საფუძველია. ამ გზით მორფოლოგია და სინტაქსი იცავენ თავიანთ განსხვავებას. მორფოლოგია შეზღუდავს ჩართული სინტაგმის სინტაქსს და ასე ამტკიცებს ჩართული სინტაგმებისა და არაჩართული სინტაგმების განსხვავებას. ამ გაგებით, სიტყვების განხილულ ტიპებში სინტაქსისა და მორფოლოგიის განსხვავება არის „მკაფიო“.

4) -იან სიტყვაწარმოებითი სუფიქსად ითვლება, მაგრამ მისი სკოპოსი არის სახელური სინტაგმა. ამიტომ აღსანიშნავია, რომ ამ სუფიქსს სიტყვაწარმოების ერთი გადამწყვეტი თვისებაც აქვს: მისი წინამავალი ფუძე ყოველთვის სახელია და არა ნებისმიერი სიტყვა, როგორც ეგრეთ წოდებული „კიდური ფლექსიის“ შემთხვევაში.<sup>17</sup> შდრ. ინგლისური ნათესაობითის კონსტრუქცია: *the man in the deckchair’s ears*<sup>18</sup>, სადაც *-s* არ ეხება მის საყრდენ სიტყვას (*deckchair*), არამედ მთელ ფრაზას (*the man in the deckchair*). მაშასადამე, *-იან* სუფიქსისგან

<sup>15</sup> ენობრივი ერთეულებისა და მოდულების „შელწევადობის“ საკითხისათვის იხ. Berg 2015.

<sup>16</sup> სავარაუდოდ, „მარცხნიდან მარჯვნივ“ დამუშავების დროს მხოლოდ სინტაგმის შემადგენლებლად დამუშავდება, და მხოლოდ სინტაგმის უფლექსიო შემადგენლების მიხედვით **დამატებითი** კატეგორიზაციის შედეგად სიტყვის შემადგენლებლად აღიქმება. ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქმება მაშინვე სიტყვაში ჩართულ ერთეულებად, როდესაც წინ უძღვის პრეფიქსი (მაგალითად უ-).

<sup>17</sup> “edge inflection” Arnold Zwicky-ს ტერმინოლოგიით, იხ. Haspelmath 2011:45-47.

<sup>18</sup> S. Greenbaum – R. Quirk: *A Student’s Grammar of the English Language*, p. 381.

განსხვავებით, ა არ ირჩევს სპეციფიკური კლასის ფუძეს.<sup>19</sup> -ან, როგორც ინგლისური -s, გამოხატავს მთელი სინტაგმის მიმართებას, მაგრამ ამავე დროს ირჩევს წინამავალი სიტყვის სპეციფიკურ კლასს, და ესაა ქართულის სიტყვაწარმოებითი (და ფლექსიური) სუფიქსის ტიპური თვისება.

5) ჩართული სინტაგმის ყველაზე პრობლემატური თვისება არის მისი სტრუქტურული კომპლექსურობა (მაგალითად, ნათესაობითიანი შემადგენლის რეკურსიულობა), რომელიც ბევრი ენათმეცნიერისთვის შეიძლება მიუღებელი იყოს.<sup>20</sup> მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ჩართული ფრაზების ევროპული ენების მაგალითები სხვა ტიპისაა<sup>21</sup> და უმთავრესად სინტაქსურად და სემანტიკურად „მარგინალურია“, ჩართული სინტაგმის ზოგადი მოვლენის თეორიული გაგება ენათმეცნიერული დისკუსიისთვის უცხო როდია. სხვადასხვა ტიპის ენების პარალელური მაგალითების სისტემური გამოკვლევა, მართალია, ჯერ კიდევ გვაკლია, მაგრამ, ალბათ უნდა მივიღოთ ფაქტი, რომ ქართულს აქვს თვისებები, რომლებიც გავრცელებული არ არის, და რომ შესაძლებელი ქართული სიტყვის ცნება უნდა შევასწოროთ.<sup>22</sup>

6) ქართული სიტყვის დამახასიათებელია მორფოლოგიური პოზიციების მკაცრი შეზღუდვა. ყველაფერი, რის „მოთავსებასაც“ პოზიციები არ უშვებენ, სინტაქსში „გადაადგილდება“. ამის მაგალითია პირის ნიშნების შეზღუდვა ზმნაში: თანამედროვე ქართულ ზმნას პირის ნიშნის მხოლოდ ერთი პრეფიქსული პოზიცია აქვს. „პირები“ (უკუქცევითის ჩათვლით), რომლებიც ზმნაში ვერ გამოიხატება, სპეციფიკური წესების მიხედვით ან „ჩაზშობილია“ (ე- ალგ ზარდე-ში), ან სინტაქსურად გამოიხატება ზმნის გარეთ (ამიზარდა შენი თავი; თავი შემაყვარეთ<sup>23</sup>). ასევე განხილულ სახელურსა და მიმღებობიან ფორმებში მორფოლოგიას არაფერი ემატება, მაშინ როდესაც პირიანობის შემთხვევაში გამოიყენება სიტყვის გარეთ მდგომი ერთეული (თავ-იანი კონსტრუქცია). აქ სინტაქსური კონსტრუქცია, ჩვენი ინტერპრეტაციის მიხედვით, სიტყვაში ირთვება. მორფოლოგიის უც-

<sup>19</sup> „მარგინალურ“, სპეციალური პრაგმატიკული („ექსპრესიული“) ფუნქციის მქონე ენაში (იხ. Meibauer 2007) სიტყვაწარმოებითი შესატყვისიც არსებობს, მაგალითად, შემდეგ არასერიოზულ ინგლისურ წინადადებაში: *he made his Sex Life in Ancient Roman face* (Kingsley Amis: *Lucky Jim*. Harmondsworth: Penguin 1961, p. 250). აქ სუფიქსი -an ჰგავს ქართულ -ან-ს: მისი სკოპოსი არის მთელი სინტაგმა (*Sex Life in Ancient Rome*), მაგრამ მორფონოლოგიურ დონეზე ირჩევს -an სუფიქსს, რომელიც შეესაბამება ბოლო სიტყვის სპეციფიკას (Rome).

<sup>20</sup> “Most linguists do not accept that words could have this complexity of internal structure of the type found in syntax, and such an analysis is undesirable.” (Harris 2007:217).

<sup>21</sup> შდრ. Brogyanyi 1979; ემპირიული და თეორიული განხილვისთვის იხ. Meibauer 2007.

<sup>22</sup> სიტყვის უნივერსალური განსაზღვრა (კლასიკური გაგებით) ასე თუ ისე პრობლემატურია. იხ. Haspelmath 2011.

<sup>23</sup> „თავიზაცია“ (Braithwaite 1973); იხ. Boeder 1989.



ვლელობის გამო ქართული ენა უფრო დიდ კომპლექსურობას ახერხებს სინტაქსის საშუალებით.

*გერმანულიდან თარგმნა ნინო დობორჯგვინიძე*

### **შემოკლებათა განმარტება**

ჭაბ. = *ჭაბაშვილი 1988*

რ. კ. = რეზო კიკნაძე

ნ. დ. = ნინო დობორჯგვინიძე

ლ. გ. = ლეილა გვარამაძე

### **ლიტერატურა**

**ბოედერი 2009:** ვინფრიდ ბოედერი, სინტაქსისა და მორფოლოგიის შეუსაბამობის თეორიული პრობლემები ქართველურ ენებში / Problems of Mismatch between Syntax and Morphology in Kartvelian [Résumé 60-66], *კადმოსი* 1, 43-66.

**თევღორაძე 1970:** იზაბელა თევღორაძე, სინტაგმის მახვილები ქართულ ენაში / Ударения синтагмы в грузинском языке, *მაცნე* 3 (54), 205-214.

**თევღორაძე 1978:** იზაბელა თევღორაძე, *ქართული ენის პროსოდიის საკითხები* / Вопросы просодии грузинского языка, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**იორდანიშვილი 1936:** ს. იორდანიშვილი, ქართული კომპოზიტივის დაწერილობისათვის, კრებულში: *სალიტერატურო ენის ნორმები I*, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 65-72.

**კიზირია 1984:** ანტონ კიზირია: *ქართული ენა* (პრაქტიკუმი), მეხუთე გამოცემა / *грузинский язык (практикум)*, განათლება, თბილისი.

**ნიკოლაიშვილი 1928:** იასონ ნიკოლაიშვილი, *ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი: სახელგამი

**სუხიშვილი 1984:** მურმან სუხიშვილი, უარყოფითი წარმოების ერთი შემთხვევისათვის ქართულში [სარჩევმი: „ორშემადგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელები-სა და ზმნისართების წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“], *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები VI*, მეცნიერება, თბილისი, 175-181.

**შალამბერიძე 1980:** გიორგი შალამბერიძე, *ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი* / Некоторые вопросы обучения правильной грузинской речи (საქართველოს სსრ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება), თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ჭაბაშვილი 1988:** მიხეილ ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტივის მართლწერისათვის, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები VIII*, მეცნიერება, თბილისი, 93-105.

**ჯორბენაძე 1984:** ბესარიონ ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობებისათვის ქართულში, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები VI*, მეცნიერება, თბილისი, 136-166.

**Anderson 1992:** Stephen R. Anderson, *A-Morphous Morphology* (= Cambridge Studies in Linguistics 62), Cambridge University Press, Cambridge.

- Berg 2012:** Thomas Berg, The cohesiveness of English and German compounds, *The Mental Lexicon* 7, 1-33.
- Berg 2014:** Thomas Berg, Boundary permeability: a parameter for linguistic typology, *Linguistic Typology* 18, 489-531.
- Boeder 1972:** Winfried Boeder, Einige Bemerkungen zu Postals ‘anaphorischen Inseln’ und ‘Pseudoadjektiven’, *Münchener Papiere zur Linguistik* 3, 30-46.
- Boeder 1989:** Winfried Boeder, Verbal person marking, noun phrase and word order in Georgian, In: Lázló Marác – Pieter Muysken (edd.): *Configurationality*. The typology of asymmetries (= Studies in Generative Grammar 34), Foris, Dordrecht, Holland – Providence, RI, 159-184.
- Boeder 1999:** Winfried Boeder, Some notes on the Georgian resultative, In: *Tense-Aspect, Transitivity and Causativity*. Studies in honour of Vladimir Nedjalkov, Edited by Werner Abraham – Leonid Kulikov (= Studies in Language Companion Series 50), Benjamins, Amsterdam – Philadelphia, 117-139.
- Boeder 2004:** Winfried Boeder, The South Caucasian languages, *Lingua* 115 (2005), 1-2 (Special issue: Caucasian, edited by Helma van den Berg), 5-89.
- Boeder – Schroeder 2000:** Winfried Boeder, Christoph Schroeder, Relational coding in Georgian and Turkish noun phrases: syntax, derivational morphology, and “linking” by means of participles, *Turkic Languages* 4, 153-204.
- Booij 1985:** Geert Booij, Coordination reduction in complex words: a case for prosodic phonology, In: Harry van der Hulst & Norval Smith (edd.), *Advances in Non-Linear Phonology*, Vol. 7, Foris, Dordrecht, 143-160.
- Booij 1996:** Geert Booij, Inherent versus contextual inflection and the Split Morphology hypothesis, *Yearbook of Morphology* 1995, 1-16.
- Booij 2009:** Geert Booij, Lexical integrity as a morphological universal: a constructionist view, In: Sergio Scalise – Elisabetta Magni – Antonietta Bisetto (edd.), *Universals of Language Today*. Springer, Berlin, 83-100.
- Botha 1981:** Rudolf Botha, A base rule theory of Afrikaans synthetic compounding, In: *The Scope of Lexical Rules*, edited by M. Moortgat, H. van den Hulst and T. Hoekstra, Foris, Dordrecht, 1-77.
- Braithwaite 1973:** Kim Braithwaite, *Case Shift and Verb Concord in Georgian*, Ph.D. dissertation, The University of Texas at Austin.
- Broganyi 1979:** Bela Brogyanyi, Bemerkungen zu den Phrasenkomposita, In: *Studies in Diachronic, Synchronic and Typological Linguistics*. Festschrift for Oswald Szemerényi on the occasion of his 65th birthday. Edited by Bela Brogyanyi (= Amsterdam Studies in the Theory and History of Linguistic Science IV, 11). Amsterdam: Benjamins, pp. 159-165.
- Dixon – Aikhenvald 2002:** R. M. W. Dixon, Alexandra Y. Aikhenvald, Word: a typological framework, In: R. M. W. Dixon – A. Y. Aikhenvald (edd.) 2002: *Word*. A cross-linguistic typology, Cambridge University Press, Cambridge, pp. 1-41.
- Dressler 2000:** Wolfgang U. Dressler, Extragrammatical vs. Marginal Morphology, In: Ursula Doleschal – Anna M. Thornton (edd.): *Extragrammatical and Marginal Morphology*, LINCOM EUROPA, München, pp. 1-10
- Harris 2002:** Alice C. Harris, Origins of apparent violations of the “no phrase” constraint in Modern Georgian”, *Linguistic Discovery* 1,2 :1-25.

- Harris 2006:** Alice C. Harris, Revisiting anaphoric islands, *Lg* 82:114-130.
- Harris 2007:** Alice C. Harris, In other words: external modifiers in Georgian, *Morphology* 16 (2006) :205-229.
- Haspelmath 2011:** Martin Haspelmath, The indeterminacy of word segmentation and the nature of morphology and syntax, *Folia Linguistica* 45 :31-80.
- Matthews 1974:** Peter Matthews, *Morphology*, An introduction to the theory of word-structure (= Cambridge Textbooks in Linguistics), Cambridge University Press, London.
- Meibauer 2007:** Jörg Meibauer, How marginal are phrasal compounds? Generalized insertion, expressivity, and I/Q-interaction, *Morphology* 17: 233-259.
- Postal 1969:** Paul Postal, Anaphoric islands, *Papers from the Fifth Regional Meeting of the Chicago Linguistic Society*, Chicago, pp. 125-152.
- Ross 1973:** John Robert Ross, The Penthouse Principle and the order of constituents, In: C. Corum et al. (edd.): *You Take the High Node and I'll Take the Low Node*, Papers from the Comparative Syntax Festival, Chicago Linguistic Society, Chicago, pp. 397-422.
- Smith 2000:** George Smith, Word remnants and coordination, In: *Deutsche Grammatik in Theorie und Praxis* [Festschrift für Peter Eisenberg], Herausgegeben von Rolf Thieroff, Matthias Tamrat, Nanna Fuhrhop, Oliver Teuber, Niemeyer, Tübingen, pp. 57-68
- Vogt 1971:** Hans Vogt, *Grammaire de la langue géorgienne* (= ISK. Skrifter, Serie B 57), Universitetsforlaget, Oslo.
- Yngve 1960:** Victor H. Yngve, A Model and Hypothesis for Language Structure, *Proceedings of the American Philosophical Society* 104, pp. 444-466

Winfried Boeder

## Morphological and Syntactic Properties of the Georgian Word

### Summary

1. Georgian morphology has become a favourite topic of theoretical discussions in linguistics. In this paper I will discuss some properties of Georgian nominal forms that are more or less known, but whose interpretation is controversial. Three complex types of word formation are considered: circumfixal derivation, as in (1), suffixal derivation, as in (2), and “participial possessive compounds”, as in (3).<sup>24</sup>

- (1) (a) u-**co**l-o  
NEG-WIFE-SUFF
- (b) u-[lamaz-kal]-o  
NEG-[beautiful-woman]-SUFF ‘without a beautiful woman’

<sup>24</sup> Glosses: ADV = adverbial case, DAT = dative case, GEN = genitive case, INSTR = instrumental case, NEG = negative prefix, NOM = nominative case, O = object, OBL = oblique case, PL = plural, POSS = possessive, PP = passive perfect participle, PREV = preverb, SUFF = suffix

- (c) u-[am-kal]-o-d  
NEG-[this.OBL-woman]-SUFF-ADV ‘without this woman’
- (d) u-[[P̄arxl-is]-saxareb]-o-d  
NEG-[[Parkhali-GEN]-Gospel]-SUFF-ADV ‘without the Gospel of Parkhali’
- (e) u-[[[k̄u-s]-ʒvl-is]-čarčo]-o  
NEG-[[[tortoise-GEN]-bone-GEN]-frame]-SUFF ‘without a frame made of tortoiseshell’
- (2) (a) [[[nabd-is]-kud]-ian]-i k̄aci  
[[[FELT-GEN]-hat]-SUFF]-NOM man-NOM ‘a man with a hat made of felt’
- (b) [[aset-[učveulo-sataur]]-ian]-i roman-i  
[[[SUCH-[unusual-title]]-SUFF]-NOM novel-NOM ‘a novel with such an unusual title’
- (c) [ocdaat-[k̄vadraṭul-metr]-ian] bina-ši  
[thirty-[square-metre]-SUFF] apartment-in ‘in an apartment of 30 square metres’
- (d) [[[k̄u-s]-ʒvl-is]-čarčo]-ian]-i satvale  
[[[tortoise-GEN]-bone-GEN]-frame]-SUFF]-NOM spectacles.NOM ‘glasses with a frame made of tortoiseshell’
- (3) (a) [saq̄varel-nabad]-mosxm-ul-i  
[beloved-felt]-put.on-PP-NOM ‘clad in his beloved felt cloak’
- (b) [[[p̄ap̄-is]-cxvr-is]-tav-is]-kud]-čamopxaṭ-ul-i  
[[[grandfather-GEN]-sheep-GEN]-head-GEN]-hat-pull.over-PP-NOM ‘with the sheephead hat of his grandfather pulled over his eyes’
- (c) [[çel-ze]-šal]-moxve-ul-i kal-i  
[[waist-on]-shawl]-wrap.around-PP-NOM woman ‘a woman with a shawl tied around her waist’

2. The circumfixal type shows syntactic units embedded in a word: attributive structures (1) (b), determiner structures (1)(c), and dependent genitive plus head noun structures (1) (d), which can be recursive (1)(e). Circumfixation shows that these units are embedded in a word. They are not compounds, since *lamaz-kal* and *am-kal* do not occur as determinative compounds. The embedded units are noun phrases and consist of two immediate constituents. These do not simply fill slots of a binary template, since they have a constituent structure with limited projection, and allow recursivity. The morphology constrains the syntax and semantics of these embedded phrases: (4) (a) seems to be ungrammatical because of its higher projection, and (b) because *megobris* is not classificational.

- (4) (a) ?? u-[am-[opicialur-barat]]-o-d  
Neg-[this.OBL-[official-paper]]-SUFF-ADV ‘without this official document’
- (b) ?? u-[[[megobr-is]-bizis]-moxmareb]-o-d  
Neg-[[[friend-GEN]-uncle-GEN]-help]-SUFF-ADV ‘without the help of his uncle’s friend’

There may also be preferences that diminish the acceptability of certain forms. Sukhishvili (1984) points out that these forms are better the shorter they are (which seems to point to a problem of processibility).

3. The fact that Georgian word-formation violates the “no-phrase” constraint can also be seen in words with the suffix *-ian*. The base unit is again a noun phrase, but this type is less constrained than the circumfixal derivations in that it allows complex attributive structures as in (2), including recursivity (cp. (2) (d) with (1) (e)). Agreement is possible in (5) for some speakers:

- (5) [vitarebit(-i) brunv-is]-porm-eb-ian-i saxel-eb-i  
 [adverbial(-GEN) case-GEN]-form-PL-SUFF-NOM noun-PL-NOM ‘nominal forms  
 in the adverbial case’

While the head noun *porm-eb-* cannot be assigned a case marker by its suffix *-ian*, the genitive-marked head noun *brunv-is* can control syntactic agreement.

4. The difference between the word-internal lack of inflection and the word-external case-inflection of modifiers is crucial. There is a syntactic difference between (6) (a) and (b), in spite of their semantic similarity:

- (6) (a) čem-sopl-el-i ḳac-i  
 my-village-SUFF-NOM man-Nom ‘a man from my village’  
 (b) čem-i sopl-el-i ḳac-i  
 my-NOM village-SUFF-NOM man-Nom ‘my fellow-villager’  
 (cp. čem-i ḳlas-el-i ‘my class-mate’)

5. The interpretation of complex forms as in (1)-(3) has been analysed in different ways. Harris (2007: 209; 225) discusses several hypotheses, among them:

- (7) (a) the “external modifier analysis”: [[or] [marcvl-ian-i]] siṭqva  
 [[two] [syllable-SUFF-NOM]] word.NOM  
 (b) the “internal modifier analysis”: [[ormarcvl]-ian-i] siṭqva  
 [[two syllable]-SUFF-NOM] word.NOM

Following a general proposal by R. Beard, she argues for analysis (a), where “two” is semantically connected with “syllable” by a semantic operation that allows to overcome the “bracketing paradox” arising from the fact that the constituent structure of (a) does not match its semantic structure. While examples of this paradox are well known from English and German, no other instance seems to be known from Georgian so far. Note, however, that (a) requires an additional rule that assigns the correct case form to *or*, because outside of words bare stems do not occur except in dative and adverbial case-marked noun phrases (which are not relevant here). In analysis (b), the lack of case marking follows from the fact that, although the configuration of [or marcvl]- requires agreement by an independently established rule of the standard language, the modifier *or* cannot have a case, since *marcvl-* does not have a case. So the internal modifier analysis seems to be preferable.

6. The use of the “possessive” suffix *-ian* is a specific feature that distinguishes Georgian from many European languages that prefer prepositional phrases or compounds:

- (8) pilṭr-ian-i sigareṭ-eb-i  
 filter-POSS-NOM cigarette-PL-NOM ‘filter-tipped cigarettes’,  
 Russian *sigarety s filtrom* > Georgian calque: *sigareṭebi filṭr-it* s. filter-INSTR

7. The base units of participial compounds are verbal phrases and can be considered as equivalents of relative clauses:

- (9) sasiḳvdilo-čriloba-miḳeneb-ul-i vepxv-i  
 lethal-wound-apply-PP-NOM tiger-NOM ‘a tiger on whom a lethal wound has  
 been afflicted’

One feature of these embedded phrases is that they can have adverbial expressions (e.g., postpositional phrases), whose initial position is the same as in non-embedded participial phrases. Cp. (3) (c) with:

- (10) *çel-ze moxve-ul-i šal-i*  
waist-on wrap-PP-NOM shawl-NOM

8. Otherwise familiar criteria of wordhood are partially problematic. Harris (2007) adduces accent and interruptability. However, double stress as in (11) (a) seems to be quite common, and the relationship between the prosody of compounds and syntactic phrases remains to be investigated. Similarly, the non-interruptability by a clitic like the intensifying *-ve* has to be specified: it is true that (a) is uninterruptable, but the same is true for (b), which does not support the external modifier analysis, because the parallel form (7) (a) suggests a stronger structural cohesiveness between *nabad* and *mosxm-ul-i* than between *saçvarel* and *nabad*. While possessive genitives seem to allow the insertion of *-ve* as in (c), postpositional phrases do not (d).

- (11) (a) *xél-eb-gášl-il-i, \*xél-eb-ve-gášl-il-i*  
hand-PL-outspread-PP-NOM  
(b) *\*saçvarel-ve-nabad-mosxm-ul-i*, (cp. (3) (a))  
(c) *paçis-ve-kud-çamopxaṭuli* (cp. (3) (b))  
(d) *\*çel-ze-ve-şal-moxve-ul-i kal-i* (cp. (3) (c))

9. Similar to the other bases of word formation, the structure of participial phrases is constrained: they cannot contain embedded clauses or coordinative structures. Examples like (12) are the result of conjunction reduction:

- (12) *tav-sa- da çel-ze-şal-moxve-ul-i < tav-ze-şal-moxve-ul-i da çel-ze-şal-moxve-ul-i*  
head-DAT-and neck-on-shawl-wrap.around-PP-NOM < head-on-shawl-wrap.around-PP-NOM and neck-on-shawl-wrap.around-PP-NOM

10. The following features of these word formations can be singled out.

Phrases within words cannot be accounted for by morphological rules. They are syntactic units whose structure is constrained by the morphological form in which they are embedded. Different types of word formation are subject to different constraints. Morphology and syntax are kept apart, and there is no fuzzy transition between the two, but only a structurally determined point where syntactic rules step in. While the rich morphology of Georgian limits the possibilities of morphological words, syntax provides a means of forming more complex units within nominal forms. This is a situation that is comparable to a detail of verbal morphology: the positions within the verb are limited. For instance, there is only one position for prefixal person markers in Modern Georgian. As a result of slot competition, some markers are suppressed, while others (including the reflexive) are “transformed” into syntactic units with the head noun *tavi* ‘head’ as in: *a-m-izarda ŧen-i tav-i* PREV-IO-(s)he.brought.up your-NOM head-NOM ‘(s)he brought you up for me’, where the slot for personal markers is taken by the 1st person object marker *-m-* and where the object “you” is a syntactic unit outside of the verb. In both cases the “escape way” from the restrictions of morphology leads to a transfer of complexity into syntax: within the word (in the type of word formation discussed above) or outside of the word (as in the case of verbal slot competition).